



აშშ-ის იუსტიციის სამინისტრო  
გამოძიების ფედერალური ბიურო

# მუქარა და დაშინება რეაგირების სახელმძღვანელო



## პირადი მუქარა

პიროვნების გარდაუვალ ფიზიკურ საფრთხეს ადგილი აქვს იმ შემთხვევაში თუკი ის იმყოფება იმ პირის სიახლოვეს, რომელიც საფრთხეს უქმნის. თქვენს ხელთ რეაგირების სამი არჩევანია:

1. გაქცევით თავის შველა: განსაზღვრეთ ხსნის გზა. ჩამოიტოვეთ ნებისმიერი ნივთი, რომელიც ხელს შეგიშლით გაქცევაში. შეძლებისდაგვარად დაეხმარეთ სხვებსაც გაქცევაში. დარეკეთ 911 ნომერზე.
  2. დამალვა: ეცადეთ თავი დააღწიოთ საფრთხეს. ჩაკეტეთ კარები ან დაბლოკეთ შესასვლელი. მობილური ტელეფონი, (მათ შორის ვიბრაციული რეჟიმი), დაადუმეთ და დაიცავით სიჩუმე სანამ საფრთხე არ გადაივლის.
- წინააღმდეგობის გაწევა: წინააღმდეგობის გაწევა წარმოადგენს უკიდურეს საშუალებას, ამიტომაც მიმართეთ მას მხოლოდ მაშინ, როდესაც თქვენს სიცოცხლეს გარდაუვალი საფრთხე დაემუქრება. შეეცადეთ ფიზიკურად გაანეიტრალიოთ საფრთხის წყარო.
  - **სიტყვიერი პირადი მუქარა** - არ წარმოადგენს ადამიანისთვის უშუალო საფრთხეს და არ გულისხმობს მუქარის შემდგომ განხორციელებას.
  - ზუსტად ჩაიწერეთ მუქარის შემცველი გამონათქვამები.
  - ჩაიწერეთ რაც შეიძლება დეტალურად იმ პირის აღწერილობა, რომელიც გემუქრებოდათ: სახელი, გარეგნობა, კანის ფერი, სქესი, სიმაღლე, წონა, თმის და თვალების ფერი, ხმა, ტანსაცმელი ან სხვა განმასხვავებელი ნიშნები.
  - მუქარის შესახებ შეატყობინეთ სამართალდამცავ ორგანოს.



## სატელეფონო მუქარა

ტელეფონით საუბრისას მიღებული მუქარა არის **სატელეფონო მუქარა**. თუ მუქარის წყარო თქვენ სიახლოვეს არ არის და გარდაუვალ საფრთხეს არ წარმოადგენს თქვენთვის და სხვებისთვისაც, მაქსიმალურად შეეცადეთ მიიღოთ რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია აბონენტზე და საფრთხის თაობაზე.

- შეინარჩუნეთ სიმშვიდე და ყურმილი არ დაკიდოთ..
- შეძლებისდაგვარად შეეცადეთ დიდხანს ისაუბროთ დასმულ შეკითხვებზე რომ ამოიცნოთ რამდენად კონკრეტული და რეალურია მუქარა, წარმოადგენს თუ არა ის უშუალო საფრთხეს თქვენთვის ან სხვებისთვის.
- თუ შესაძლებელია, მიიპყარით გარშემომყოფთა ყურადღება, რათა მათ მოუსმინონ საუბარს და შეატყობინონ სამართალდამცავ ორგანოს.
- დააკვირეთ მთელი ინფორმაცია ტელეფონის ელექტრონული ეკრანიდან.
- ზუსტად ჩაიწერეთ მუქარის შემცველი გამონათქვამები.
- თუ შესაძლებელი იქნა ჩაიწერეთ სატელეფონო საუბარი.
- მზად იყავით სამართალდამცავ ორგანოს წარმომადგენლებთან საუბრის დეტალების განსახილველად.



## ელექტრონული გზავნილით მიღებული მუქარა.

**ელექტრონული ფოსტით** შემოსული მუქარა მიიღება პირადი ტექსტური შეტყობინებით, ელ-ფოსტით ან სოციალური ქსელის მეშვეობით. მოთხოვნების შესრულებაზე უარის თქმის შემთხვევაში ის შეიძლება შეიცავდეს შანტაჟისა ან არასასურველი შედეგების საფრთხეს.

- არ გახსნათ ელექტრონული შეტყობინება ან დანართი უცნობი გამომგზავნისგან..
- ნუ დაუკავშირდებით სოციალურ მედიაში უცნობ ან შემთხვევით პირებს.
- დარწმუნდით, რომ უსაფრთხოების პარამეტრები დაყენებულია დაცვის უმაღლეს დონეზე.

**ელექტრონული მუქარის მიღების შემთხვევაში::**

- შეტყობინება არ წაშალოთ. სასამართლო ექსპერტიზამ შესაძლოა გამოავლინოს მნიშვნელოვანი დეტალები.
- დატოვეთ შეტყობინება ღიად კომპიუტერზე..
- დაუყოვნებლივ აცნობეთ სამართალდამცავ ორგანოს.
- დაბეჭდეთ შეტყობინება, გადაიღეთ ფოტოსურათი ან ასლი, სათაური, თარიღი და დრო.
- შეინახეთ ყველა ელექტრონული მტკიცებულება..



## კიბერშეტევები

**კიბერშეტევამ** შეიძლება დააზიანოს თქვენი ელექტრონული მოწყობილობა და გაამჟღავნოს პირადი მონაცემები.

- გამოიყენეთ ძლიერი პაროლები და მოერიდეთ ერთი და იგივე პაროლის სხვადასხვა ვებ-გვერდებზე გამოყენებას.
- დააყენეთ ანტივირუსული და საზიანო პროგრამების საწინააღმდეგო ავტომატური განახლება.
- როგორც კი ხელმისაწვდომი გახდება გამოიყენეთ სისტემისა და პროგრამული უზრუნველყოფის განახლება.
- გამოიყენეთ ორსაფეხურიანი დამოწმება.
- რეგულარულად შეინახეთ მონაცემების ასლები.

**თუ ეჭვი შეგეპარათ, რომ კიბერშეტევის მსხვერპლი გახდით:**

- არ წაშალოთ და არ შეცვალოთ თქვენი კომპიუტერის სისტემები.
- დაუყოვნებლივ დაუკავშირდით თქვენს საფინანსო დაწესებულებებს, რათა დაიცვათ თქვენი ანგარიშები პირადული მონაცემების მითვისებისგან.
- შეცვალეთ პაროლები და ყურადღება ადევნეთ ანგარიშებს საექვო ქმედების გამოვლენის მიზნით.

**თუ ფიზიკური საფრთხე გემუქრებათ, დარეკეთ 911 ნომერზე.**

მუქარის შემთხვევაში, გთხოვთ დაუკავშირდეთ გფბ-ს ადგილობრივ რეგიონალურ ოფისს (გფბ-ს რეგიონალური ოფისების სია განთავსებულია [www.fbi.gov](http://www.fbi.gov) ვებგვერდზე) ან გააგზავნეთ შეტყობინება 1-800-CALLFBI (ან 1-800-225-5324) ნომერზე ან მოათავსეთ [www.fbi.gov/tips](http://www.fbi.gov/tips). ვებგვერდზე..

ასევე შეგიძლიათ აცნობოთ ანონიმურად გფბ-ს ტელეფონისა ან კომპიუტერის მეშვეობით..



აშშ-ის იუსტიციის სამინისტრო  
გამოძიების ფედერალური ბიურო

# მუქარა და დაშინება რეაგირების სახელმძღვანელო



## ვის უნდა მივმართოთ მუქარის ან დაშინების შემთხვევაში: ადგილობრივ პოლიციას თუ გვბ-ს?

- თუ თქვენ ან სხვებს ემუქრებათ ფიზიკური საფრთხე, დარეკეთ პოლიციის ადგილობრივ განყოფილებაში 911 ნომერზე.
- თუ გემუქრებიან ფედერალურ დანაშაულთან დაკავშირებით, გთხოვთ დაუკავშირდეთ გვბ-ს ადგილობრივ ოფისს (გვბ-ს რეგიონალური ოფისების სია განთავსებულია [www.fbi.gov](http://www.fbi.gov) ვებგვერდზე) ან ამ 1-800-CALLFBI (1-800-225-5324) ნომერზე დარეკვით, ასევე [www.fbi.gov/tips](http://www.fbi.gov/tips). ვებგვერდის მეშვეობით. ამგვარი დამუქრება მოსალოდნელია მაგალითად, უცხო ქვეყნის აგენტის, ორგანიზებული დანაშაულის ჯგუფის ან სახელმწიფო მოხელისგან. მუქარის შესახებ შეგიძლიათ განაცხადოთ ანონიმურადაც.
- ყველა ინციდენტი არ შეესაბამება გვბ-ს საგამოძიებო უფლებამოსილებას. თუ თქვენ ხართ ინციდენტის მსხვერპლი, რომელიც არ მიეკუთვნება ფედერალური დანაშაულის კატეგორიას, ამის შესახებ შეატყობინეთ პოლიციის ადგილობრივ განყოფილებას. ადგილობრივ და შტატის იურისდიქციებს გააჩნიათ განსხვავებული დონის უფლებამოსილება სავარაუდო დანაშაულის გამოძიებისას..



## რას უნდა მოველოდეთ გვბ-ში გასაუბრების შედეგად?

- გვბ-ს აგენტებს შეუძლიათ დაგინიშნონ შეხვედრა გვბ-ს რეგიონალურ ოფისში ან სხვა ადგილას.
- გვბ-ს თანამშრომლები მოგთხოვთ მიაწოდოთ რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია დამნაშავესა და იმ საფრთხის შესახებ, რომელიც თქვენ განიცადეთ.
- გვბ-ს თანამშრომლებმა შეიძლება გთხოვთ საკონტაქტო ინფორმაცია, საჭიროების შემთხვევაში თქვენთან დასაკავშირებლად.
- გვბ-ს თანამშრომლები შეეცდებიან დაიცვან თქვენი მონაცემები და კონფიდენციალურობა.
- საჭიროების შემთხვევაში, გვბ-ს სპეციალისტები დაზარებულებთან მუშაობის დარგში შეიძლება დაესწრონ გასაუბრებას ინფორმაციისა მოწოდებისა და მხარდაჭერის დასადასტურებლად, ან გასაუბრების შემდეგ შეიძლება დაგიკავშირდნ ტელეფონით ან ელექტრონული ფოსტით მეშვეობით.



## როგორია გამოძიების ფედერალური ბიუროს უფლებამოსილება, როცა საქმე ეხება საჩივრის განხილვას და/ან გამოძიების დაწყებას?

- გამოძიების ფედერალური ბიურო უფლებამოსილია გამოიძიოს საფრთხე, რომელიც გულისხმობს აშშ-ის ფედერალური კანონის დარღვევას, იწვევს ზიანს ან საშიშროებას უქმნის მსხვერპლს.
- აშშ-ის ფედერალური ხელისუფლების უფლებამოსილება, გაასამართლოს ნებისმიერი პირი მუქარასთან დაკავშირებული ბრალდებების გამო, დამოკიდებულია რამდენიმე ფაქტორზე, როგორცაა: მტკიცებულების ხარისხი, ქმედების ჩამდენთა იდენტიფიცირების შესაძლებლობა, შეთქმულების იდენტიფიცირება, და/ან დამნაშავეთა დაკავების შესაძლებლობა..



## რას უნდა ველოდოთ თუ გვბ დაიწყებს გამოძიებას?

- თუ გამოძიების ფედერალური ბიურო მიიჩნევს, რომ შესაძლოა ჩადენილ იქნა ფედერალური დანაშაული, გამოძიებას ჩაატარებს გვბ-ს ერთი ან რამდენიმე სპეციალური აგენტი. გამოძიების ფარგლებში, სპეციალური აგენტები შეაგროვებენ მტკიცებულებებს, რომელებიც შეიძლება მოიცავდნ თქვენთან და სხვა დაზარალებულებთან საუბრის შედეგებს.
- ასევე შესაძლებელია გთხოვონ მოახსენოთ ნაფიც მსაჯულთა ფედერალურ სასამართლოს, იმის შესახებ რაც შეგემთხვათ.
- ჩატარდება საფუძვლიანი გამოძიება. გამოძიება შეიძლება იყოს ხანგრძლივი, რომლის მიმდინარეობის შესახებ ყოველდღიურ ინფორმაციას ვერ მიიღებთ. მაქსიმალურად შევეცდებით გაცნობოთ გამოძიების დროს განვითარებულ მნიშვნელოვან მოვლენებზე, მათ შორის დაკავებისა ან ბრალდების წაყენების შესახებ. შეძლებისდაგვარად, გვბ ვალდებულია მოგაწოდოთ ამგვარი ინფორმაცია, სანამ ის საჯარო გახდება. ამასთანავე, გამოძიების ფედერალური ბიურომ ყოველთვის უნდა გამოიჩინოს სიფრთხილე, რათა არ გაამჟღავნოს საიდუმლო ინფორმაცია, რომელმაც შეიძლება ზიანი მიაყენოს გამოძიებას ან საფრთხე შეუქმნას სამართალდამცავი ორგანოების მუშაობას.
- გამოძიების ფედერალური ბიუროს მსხვერპლთან მუშაობის სპეციალისტი გაუწევს დაზარალებულებს დახმარებას, მიაწვდის მათ საჭირო ინფორმაციას და მიმართავს მათ ადგილობრივ სამსახურებში დახმარების მისაღებად.

იმ შემთხვევაშიც კი, თუ ინფორმაციას დაშინების ან მუქარის დეტალების შესახებ გამოძიების პროცესში შედეგი არ მოჰყოლია, ეს ინფორმაცია შესაძლოა დაეხმაროს სხვა დაზარალებულებს არსებული საფრთხისა და მისი მიმდინარეობის დადგენაში. .

**FBI** გვბ-ს რეგიონალური ოფისის საკონტაქტო ინფორმაცია, ქალაქებისა და შტატების მიხედვის ხელმისაწვდომია [WWW.FBI.GOV](http://WWW.FBI.GOV)-ვებგვერდზე. თუ გარდაუვალი საფრთხე გემუქრებათ, დარეკეთ **911** ნომერზე..